საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №

MES 5 22 0001-07/11

28/01/2022

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების დეპარტამენტის სკოლამდელი და ზოგადი განათლების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის [redacted] დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა და ამავე განყოფილების უფროსის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 19 ნოემბრის N01-11/809 ბრძანებით გამოცხადდა კონკურსი სამინისტროს განათლების დეპარტამენტის სკოლამდელი და ზოგადი განათლების განყოფილების უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის [redacted] 2021 წლის 29 დეკემბრის N1434414 მოხსენებითი ბარათის თანახმად, კონკურსის შედეგების შესაბამისად, განათლების დეპარტამენტის სკოლამდელი და ზოგადი განათლების განყოფილების უფროსის თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენილი იქნა [redacted] კანდიდატურა.

,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის 43-ე მუხლის, ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილების, საკონკურსო კომისიის 2021 წლის 27 დეკემბრის N5 სხდომის ოქმის, [redacted] 2022 წლის 25 იანვრის N62018 განცხადებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ'' და ,,ლ'' ქვეპუნქტების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2022 წლის 01 თებერვლიდან [redacted] გათავისუფლდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების დეპარტამენტის სკოლამდელი და ზოგადი განათლების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობიდან.

2. 2022 წლის 01 თებერვლიდან [redacted] დაინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების დეპარტამენტის სკოლამდელი და ზოგადი განათლების განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

3. [redacted] თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საშტატო ნუსხის შესაბამისად.

4. ბრძანების შესაბამისი პირებისადმი გაცნობა დაევალოს სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N9), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მაია ხაჯიშვილი
მინისტრი